ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №377852

ნომერი: AR184184

თარიღი : 02.10.2012

გაცემის თარიღი : 04.10.2012

გაცნობის თარიღი : 09.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბოსტაშვილი პ/ნ 14001005304
- თბილისი ვარკეთილი 3 I მ/რ კორ. 20 ბ. 89

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე ცალკე მდგომი პირველი კლასის ნაგებობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, იუმაშევის ქუჩა №8-ში, შპს "როქი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №003/036) ცალკე მდგომი I კლასის ნაგებობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”როქი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №01.19.15.003.036, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882012241366 17.07.2012წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, იუმაშევის ქუჩა №8-ში, შპს "როქი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №003/036) ცალკე მდგომი I კლასის ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან გასათვალისწინებელია:

- საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შემთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის, ფანჯრის, ფრამუგის, სამტრედეს და სზვა..., ასევე აივნის ერკერის და ტერასის მოწყობა, შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
- სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
- სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე-არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული ინდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge